

როგორ იზრდება აფეთქების საშიშროება - საფუძვლები

ფეთქებადობის ზრდის აუცილებელი წინაპირობები:

- **მზილება:** გამოავლინე უსამართლობა, არ მისცე დაფარვის შესაძლებლობა;
- **ყურადღების ცენტრში მოქცევა:** გამოაჩინე მსხვერპლი, არ დაუშვა თემის გაუფასურება;
- **გადაფორმულირება:** ხაზი გაუსვი უსამართლობას, გამორიცხე ორმაგი წაკითხვა;
- **გადაჯგუფება:** მოახდინე მომხრეთა მობილიზაცია, სიფრთხილით მოეკიდე კომუნიკაციის ოფიციალურ არხებს;
- **წინააღმდეგობა:** დაუპირისპირდი ზეწოლას და მოსყიდვის მცდელობას.

ფეთქებადობის ზრდის მოდელი აერთიანებს ისეთ ტაქტიკურ სვლებს, რაც უსამართლობასთან დაპირისპირებისთვისაა აუცილებელი.

ფეთქებადობის ზრდა: შეტევა ზრდის აფეთქების საშიშროებას, როცა შედეგად მეტ ყურადღებას მიაქცევს და მეტ მომხრეებს გაუჩენს მას, ვის წინააღმდეგაც იყო მიმართული. ნებისმიერი უსამართლობა და წესრიგის დარღვევის ფაქტი შეიძლება გახდეს აფეთქების გამომწვევი.

ფეთქებადობის ზრდა ღიადაა გამოხატული საზოგადოებრივი აზრის სახით ან მოწინააღმდეგე ჯგუფებში აქტიურობის ზრდით. დამრღვევისთვის, გრძელვადიან პერსპექტივაში, ნაყოფიერი არ არის თავის დამკრეწნის ტაქტიკა, როცა ის ცდილობს, გაეცეს უსამართლობით გამოწვეულ პროტესტს.

გავლენიანი ჯგუფების მიერ ჩადენილი უსამართლობა, ხშირ შემთხვევაში, პასუხგაუცემელი რჩება, რადგანაც ისინი უკმაყოფილების მიჩქმალვასა და რეაქციის შესუსტებას ახერხებენ.

ხუთი მეთოდი უსამართლობით გამოწვეული უკმაყოფილების შესამცირებლად:

1. ქმედების დაფარვა;
2. მსხვერპლის დაკნინება;
3. მომხდარის რეინტერპრეტაცია;
4. კომუნიკაციის ოფიციალური არხების გამოყენება, სამართლიანობის ეფექტის შესაქმნელად;
5. მოქმედი პირების დაშინება ან დაჯილდოება.




უკმაყოფილების შემცირების ხუთი მეთოდი და მათი კავშირი მოქმედებასთან, მის აღქმასთან და გამომდინარე რეაქციასთან

ფეთქებადობის წარმოქმნის ორი პირობა:

1. მოქმედება აღიქმება როგორც უსამართლო, უკანონო, გადამეტებული, არაპროპორციული;
2. მოქმედების შესახებ ინფორმაცია მიეწოდება რელევანტურ აუდიტორიას.

უსამართლობის დროს უკმაყოფილების ზრდის ხუთი ხერხი:

1. ამხილე ფაქტი;
2. წარმოაჩინე მსხვერპლი;
3. ოფიციალურად არსებული ინტერპრეტაცია ამხილე როგორც უსამართლო;
4. მოახდინე უკმაყოფილო საზოგადოების მობილიზაცია (თავი აარიდე ოფიციალურ მედიას);
5. დაუპირისპირდი და ამხილე ჩაგვრისა და მოსყიდვის ნებისმიერი მცდელობა.



დამატებითი გასათვალისწინებელია:

ინფორმაციის გავრცელებისას, დროულობას უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია. შეტყობინების ადრესატამდე მისვლაზე სამი ფაქტორი მოქმედებს:

1. მიმღებლობა: უსამართლობით გამოწვეული ზოგადი უკმაყოფილება; თუ ხალხი უკვე გაღიზიანებულია ძალადობით, ახალი ფაქტის მიმართ მათი რეაქცია უფრო ძლიერი იქნება. სოციალური მოძრაობები ქმნიან და ზრდიან მიმღებლობას.

2. საინფორმაციო ველი: ხილვადობა, მიჩქმალვა (სხვა ამბებთან შედარებით). სხვა რა ამბებია აქტუალური? თუ სხვა მნიშვნელოვანი მოვლენებიც ხდება, უსამართლობის ფაქტმა შეიძლება ვერ მიიპყროს სათანადო ყურადღება.

3. ქმედითუნარიანობა: საზოგადოებრივი მოძრაობების არსებობა ქმედების შესაძლებლობას ზრდის. როდესაც აქტივისტები მზად არიან მოქმედებისთვის, მოულოდნელ უსამართლობაზე პასუხის გაცემის მეტი შესაძლებლობა არსებობს და ფეთქებადობის ზრდის ალბათობაც მაღალია.

პუბლიკაციები აღნიშნულ თემაზე

იხილეთ <http://www.bmartin.cc/pubs/backfire.html> (ან დაძებნეთ “Brian Martin backfire”), სადაც თავმოყრილია სხვადასხვა ტაქტიკის ანალიზი, რომელიც ცენზურის, ცილისწამების, სკოტ პარკინის დეპორტაციის, სექსუალური ძალადობის, მშვიდობიანი დემონსტრაციების, დახვრეტის, წამების, გენოციდისა და სხვა შემთხვევების დროს გამოიყენებოდა ფეთქებადობის გასაზრდელად.



პროტესტი სკოტ პარკინის ავსტრალიიდან დეპორტაციის წინააღმდეგ
Brian Martin, bmartin@uow.edu.au, phone 02-4221 3763

This version 26 February 2012